პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 241 (3218) 14

1966 წ. დეკემბერი, ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და განა მარტო კიეველებს!

ჭადრაკს მაზიდულობის დიდი ძალა აქვს. ეს თვით მოჭადრაკეების „ბრალია". გაიხსენეთ ნონა გაფრინდაშვილი. ახლა კი ნანა ალექსანდრიას თამაში იზიდავს მაყურებლებს.

გავიგეთ, როცა აეროდრომიდან დამირეკეს. თბილისში კარგად ცნობილი ერთი ოსტატობის კანდიდატი თურმე ლენინგრადს მიფრინავდა მოელინებათ, კიევში ნახევარი საათით გაჩერებული და ქალთა ჩემპიონატის ამბებით დაინტერესებული.

ეშმაკი შემიჩნდა. ოსტატობის კანდიდატს ეუთხარი, დღეს ჩემპიონობის ბედი წყდება-მეთქი ზატულოვსკაია — კოზლოვსკაია და იდელჩიკ — ალექსანდრიას პარტიებში (სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ იყო). შემდეგ, იცით, რა მოხდა? ნუ იკითხავთ: მოჭადრაკემ ბილეთი დააბრუნა და კიევში დარჩა.

იმ დღეს ტ. ზატულოვსკაიას 31 წელი შეუსრულდა. მისთვის მირთმეულ მრავალ საჩუქარს კანალამ მატად თავისებური „ნობათი" დაუმატა კოზლოვსკაიამ: მაინცდამაინც მაშინ მოისურვა პირველი მარცხის სმწარე ეგემებინა ლიდერისთვის. იუბილარი სასწაულმა იხსნა.

ნანა ალექსანდრიამ ჭეშმარიტი შედეგრით დაჯილდოვა მისი გულშემატკივარი კიეველები. ისინი მხოლოდ იმატომ როდი თანაუგრძნობდნენ ნანას, რომ ჩემპიონატში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავთ. არა, რომ ჰყავდეთ კიდეც, კიეველები მაინც ნანას მხარეს იქნებოდნენ: მათ ასეთი ნიჭიერი და ახალგაზრდა ოსტატი არ ახსოვთ. და განა მარტო კიეველებს!

ჩვენ არ ვიცით, ვინ გახდება ჩემპიონი. ვფიქრობთ, ამას არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ ნანა ფაქტიურად უკვე მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია.

ოპტიმიზმი ძალზე კარგი რამაა. ქ. სკეგინასთან სასტიკი მარცხი რომ იწვნია, ახალგაზრდა მოსკოველ ოსტატს ვკითხეთ, როგორ ფიქრობთ, ვინ მოხვდება პრეტენდენტთა ტურნირში-მეთქი. მან გვიპასუხა: „ალექსანდრია, კოზლოვსკაია და მე, ელენე რუბცოვა". მაშინ ეს სიტყვები გადაჭარბებით ოპტიმისტური გვეჩვენა. მაგრამ ელენემ ზედიზედ სძლია კოზლოვსკაიას, მოროზოვას და კვლავ მიუახლოვდა ლიდერებს.

მკითხველები, ალბათ, ხვდებიან, რა „მხიარულებაა" ტურნირზე. პატარა მოთმინება და ნანა ალექსანდრია პრეტენდენტთა ტურნირის საგზურს მიიღებს.

ო. გუჩმა.

კიევი.

• • •

სურათზე: ნ. ალექსანდრია XI ტურის პარტიის თამაშისას.

ფოტო ხ. ფაიგენზონისა.

ყოჩაღ, ნუგზარ!

თანამემამულის ბრწყინვალე გამარჯვებით გახარებულებს, არაერთხელ გვითქვამს: ყოჩაღ, ნუგზარ! და ახლაც ამ სიტყვებს ვიმეორებთ, როცა დონის როსტოვიდან სასიხარულო ცნობა მივიღეთ: სსრ კავშირის თასზე ესპადრონით ფარიკაობაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნუგზარ ასათიანმა სანუკვარი ჯილდო მოიხვეჭა, ფარ-ხმალი დააყრევინა თასის სხვა მაძიებლებს. ფინალურ ბრძოლაში მან სძლია ლენინგრადელ ბ. მელნიკოვს. III ადგილზეა უკრაინელი ვ. სიდიაკი.

ნ. ასათიანის სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. ქართველი მოფარიკავე ბევრჯერ წარმატებით გამოსულა სსრ კავშირის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგრამ ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება მან მაინც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა: იტალიელ ესპადრონისტებთან ფინალურ შეხვედრაში, როცა გუნდური ანგარიში ფრე იყო, ნუგზარმა „ოქროს ჩხვლეტა" განახორციელა და ჩემპიონობა მოუტანა საბჭოთა გუნდს. ამ დიდი წარმატებისთვის ნ. ასათიანს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

მარადუამ ბასრი და მეტოქეთა შემმუსვრელი ყოფილიყოს შენი საბრძოლო იარაღი, სულ გამარჯვების გზით გევლოს, ნუგზარ!

XXVI ჩემპიონატი

კიდევ ორი ყაიმი

კიევი, 13 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ გვიან საღამოს, გადადებული პარტიების დამთავრებიას, კიდევ ორი შეხვედრა: ბოიახჩიან — კოზლოვსკაია და ბიკოვა — არჩაკოვა აღინიშნა ყაიმით.

თავიდან ბოიახჩიანს თითქმის მოსაგები პოზიცია ჰქონდა კოზლოვსკაიასთან, მაგრამ ცუდი თამაშით მან ეს უპირატესობა თანდათან დაკარგა. იქნებ ეს იმისი ბრალიც იყო, რომ ერევნელი მოჭადრაკე ამ საღამოს მეოთხე პარტიას ამთავრებდა... ასეა თუ ისე, 91-ე სვლაზე ეგი ყაიმს შეურიგდა.

სათამაშო დროის ამოწურვის გამო არ განახლებულა ჩაიკოვსკაია—მედიანიკოვას პარტია.

16 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: ნ. ალექსანდრია, ტ. ზატულოვსკაია, ა. კისლოვა — 11-11 ქულა, ვ. კოზლოვსკაია—10,5, ე. რუბცოვა—9,5, ლ. იდელჩიკი — 9, ა. ჩაიკოვსკაია — 8,5 (1), ნ. მედიანიკოვა — 8 (1), მ. რანიკუ, თ. გოლოვეი — 8-8, თ. ბოიახჩიანი, ე. კაკაბაძე, ნ. ვოიციკი, ტ. მოროზოვა — 7,5-7,5, ც. კახაბრიშვილი, გ. არჩაკოვა, კ. სკეგინა — 6,5-6,5, ა. მუსლიმოვა, ე. ბიკოვა — 5,5-5,5, ვ. ტახომიროვა — 4.



ნ. ალექსანდრიას და ა. კისლოვას — 12-12 ქულა!

კიევი, 13 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა XVII ტური. ალექსანდრიამ მოუგო კახაბრიშვილს, კოზლოვსკაიამ — რანიკუს, კისლოვამ — ვოიციკს, ბოიახჩიანმა — მოროზოვას.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: არჩაკოვა — გოლოვეი, რუბცოვა — ზატულოვსკაია, სკეგინა — კაკაბაძე.

3 პარტია გადაიდო.

დღეს ნომერში გაშლილი გვერდია — „ჩვენს კლანეტაზე"



ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო გუნდურ პირველობაში, რომელიც ახლახან ზაპოროჟიეში გაიმართა, როგორც ვიუწყებოდით, წარმატებით გამოვიდა თბილისელი სპარტაკელი ა. კირაკოსოვი (მწვრთნელი ზ. უიფშიძე). მან ყველას აჯობა ქვემსუბუქი წონის ათლეტთა შორის,— სამჭიდში 325 კგ დააგროვა და 5 კილოგრამით გაუმჯობესა საქართველოს რეკორდი ახალგაზრდებში.

საშუალო წონაში II ადგილზე გავიდა საქართველოს მეორე წარმომადგენელი ვ. კოჩიევი (სამჭიდში — 400 კგ).

გუნდურ ჩათვლაში ჩვენები VI ადგილზე არიან.

• • •

სურათზე: ა. კირაკოსოვი ფიცარნაგზე.

ფოტო ი. იუნაევისა.

ჭადრაკი ჯგუფებში

● ქენევა, 12 დეკემბერი. აქ გაიმართა დამატებითი მატჩი წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ ბელგრადის „პარტიზანი" და მაგდებურგის „დინამო". ძირითად დროში ანგარიში საყაიმო იყო — 1:1 (1:0, 0:0, 0:1, 0:0). დამატებით ტაიმში იუგოსლავიელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გათამაშების ფინალში გავიდნენ.

● მოსკოვი, 12 დეკემბერი. გუშინ დამთავრდა ცნობილი ჩოგბურთელის ზ. ზიგმუნდის მემორიალი. ქალთა წყვილების ფინალში ო. მოროზოვა — ტ. ჩალკომ დაამარცხეს ე. კრიუჩკოვა— მ. ჩუვირინა — 4:6, 6:2, 6:2. ვაკემში ვიაჩესლავ ეგოროვმა და ვ. კოროტკოვმა სძლიეს ვლადიმერ ეგოროვსა და ს. ლიხაჩოვს — 6:4, 6:4, 6:4. შერეულ წყვილებში ო. მოროზოვამ და ვიაჩესლავ ეგოროვმა მოუგეს ა. დმიტრიევასა და ვ. კოროტკოვს — 6:2, 6:4. გაისიდან ზ. ზიგმუნდის მემორიალი საკავშირო შეჯიბრება გახდება.

● ბელგრადი, 12 დეკემბერი. იუგოსლავიის საფეხბურთო ჩემპიონატში გათამაშდა 15 ტური. I ადგილზეა „სარაევო" — 24 ქულა. მომდევნო ადგილებზე 20-20 ქულით არიან ბელგრადის „პარტიზანი" და ზაგრების „დინამო". ბურთების უკეთესი შეფარდება „პარტიზანს" აქვს.

დეკემბრის მზე...

უჩვეულო ზამთარი დადგა წლეულს აჭარაში. ზღვის ნაპირზე ახლაც ეფიცხებიან მზეს, ცურვის მოყვარულებს კი ჯერაც არ შეუწყვეტიათ „წვრთნა", ისევ ენაობა ზღვაზე გასეირნება, ისევ ეჯიბრებიან ერთმანეთს თევზაობით გატაცებულნი.

მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ქობულეთში ახლაც მრავალი დამსვენებელი ჩამოდის და თითქმის მთელ დღეს ზღვაზე ატარებს.

აჭარის კურორტებზე უკვე ძალაში შევიდა ზამთრის განრიგი, მაგრამ ტურისტული სეზონი მაინც გრძელდება. ბათუმის ტურბაზა, რომელიც მთელი წლის მანძილზე მუშაობს, ახლაც 200-ზე მეტ ტურისტს მასპინძლობს. ბათუმში ჩამოდიან ტურისტები, რომელთაც ამჯერად ამერიკა-ევროპა აურჩევიათ მოგზაურობის მარშრუტად — ბაქო, ერევანი, თბილისი... ისინი 20 დღეს გაატარებენ ჩვენს ქალაქში, მონაწილეობას მიიღებენ ლაშქრობებში, ექსკურსიებში.

ჩვენს სტუმრებს დიდხანს დაამახსოვრდებათ დეკემბრის ალერსიანი მზე და გულთბილი შეხვედრები.

ი. ბერძენიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

სკკკვეირო
ᲓᲘᲜᲯᲗᲐ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოები ფართო სპორტულ გზაზე გამოდიან. ექმნა არაა, ახლო მომავალში ბევრი აფრიკელი სპორტსმენის სახელი ჩაიწერება მსოფლიო ჩემპიონთა სიაში.

ამის დადასტურებაა I აფრიკული სპორტული თამაშები, შარშან რომ ჩატარდა ბრაზავილში. იქ არც მსოფლიო რეკორდები დამყარებულა, არც სენსაციურ მიღწევებს გავუოცებივართ, მაგრამ თამაშებმა მაინც გააკეთა თავისი: აფრიკელებმა დაამტკიცეს, რომ ნიჭიერი ათლეტები არიან.

მალე მალის დედაქალაქ ბამაკოში გაიმართება აფრიკის II თამაშები.

აას-ის კორესპონდენტმა სთხოვა კონგოს (ბრაზავილი) რესპუბლიკის ინფორმაციის, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრს პ. მბუამას მოეთხრო ამ ასპარეზობისთვის კონგოელი სპორტსმენების მზადებაზე.

— II აფრიკული სპორტული შეჯვედრისთვის მზადების პერიოდშ, — თქვა მბუამამ, — მთავარ ყურადღებას საქმის საორგანიზაციო მხარეს ვაქცევთ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ 2-3 წლის წინათ როგორც აფრიკის სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენში, სპორტი ჯერ კიდევ ახალი ხელი იყო. კოლონიზატორები დაინტერესებული არ იყვნენ აფრიკაში სპორტის განვითარებით. მართალია, მათ აქ ჰქონდათ საკუთარი კლუბები და სტადიონები და არც ერთ ფრანგს არ უთქვამს უარი კლუბში აფრიკელის შეღებაზე, მაგრამ ეს ძალიან ძვირი ჯდებოდა. საწევრო შესატანი თითქმის აფრიკელის თვიურ ხელფასს უტოლდებოდა. ახლა ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ჩამოვაყალიბოთ ახალი საზოგადოებები, ხოლო უკვე არსებულთა სერიოზულ რეორგანიზაცია მოვახდინოთ.

აფრიკული თამაშების წინ ჩვენი მუშაობის უმთავრეს მიზნად სპორტის მასობრიობა, ქვეყნის ჩემპიონატებისა და თასების გათამაშების ჩატარება მიგვაჩნია. მთავარ ყურადღებას ვაქცევთ სპორტულ საზოგადოებათა მოწყობას, პირველ ყოვლისა, სკოლებში. სპორტული პროგრამის ახსნა-განმარტების მიზნით ვატარებთ მასობრივ კრებებს, სპორტულ კონგრესებს და სხვ. ფართოდ ვიყენებთ რადიოგადაცემებს ფიზიკური კულტურის თემებზე. ბუნებრივია, სპორტის მასობრიობაზე რომ ლაპარაკობ, მის ბაზაზე — მსაჯებას, მწვრთნელების და ორგანიზატორთა მომზადებაზეც უნდა იფიქრო.

II აფრიკული თამაშებისთვის მზადების პერიოდში მონაწილეობას მივიღებთ „აფრიკის ეროვნული თასისა“ და აფრიკის ჩემპიონთა მალეოსნური კლუბის თასის გათამაშებებში, კალათბურთელთა და ფრენბურთელთა შეჯიბრებებში, რომელთაც აფრიკის კონფედერაციები ატარებენ. ჩვენი სპორტსმენები გამოვლენ სხვა საერთაშორისო შეხვედრებშიც.

გამოცდილების გაზიარების მიზნით გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი ათლეტები, მწვრთნელები, მსაჯები მივავლინოთ იმ ქვეყნებში, სადაც სპორტი კარგადაა განვითარებული. ვფიქრობთ, გაისად ვესტუმროთ სსრ კავშირს და კიდევ ერთხელ გამოვცადოთ ძალა მათ ფეხბურთელებთან, რომლებიც შარშან იყვნენ ჩვენში. კონგოში ჩამოვლენ სხვადასხვა ქვეყნის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები.

პირველმა აფრიკულმა თამაშებმა გამოავლინა ჩვენი სერიოზული ნაკლოვანებები: კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სუსტი ბაზა, სპორტულ საზოგადოებათა ძალიან მცირე რიცხვი. ყველაფერი ეს ხელს უშლის ნაჭიერი აფრიკელი ახალგაზრდობის მოსვლას დიდ სპორტში, ამუხრუჭებს სპორტს გაღრეს მასობრივი, საყოველთაო. თუ გვქონდა წარმატებები, ეს ერთეულთა მიღწევები იყო. ჩვენ კი გვსურს სულ სხვა სპორტი — საალხო! კონგო ახალგაზრდობის რესპუბლიკაა და სპორტიც ხომ ახალგაზრდობის საქმეა. ვფიქრობთ, უახლოეს ხანებში შევძლებთ კარგი შედეგების მოპოვებას და ბევრსაც ვაკეთებთ საამისოდ.

კონგოს სპორტსმენებსა და მწვრთნელებს გადაწყვეტილი აქვთ შეინარჩუნონ I აფრიკულ თამაშებში მოპოვებული პოზიციები, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, მომავალი თამაშები კონგოს მოსახლეობაში სპორტული მუშაობის სერიოზული გაუმჯობესებისთვის გამოიყენონ. II აფრიკულ თამაშებს განვიხილავთ, როგორც III თამაშების საფეხურს. ივი კი საშუალებას მოგვცემს მოვიპოვოთ კიდევ უფრო სასურველი მაღალი შედეგები.

— სპორტი ახალგაზრდობას აერთიანებს, — თქვა ბოლოს მინისტრმა მბუამამ, — მომავალი თამაშები კი სერიოზულ წვლილს შეიტანს აფრიკის კონტინენტის ერთიანობის საქმეში.

ბ. ᲙᲣᲨᲩᲘᲜᲘ.

ბრაზავილი.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲙᲐᲠᲚ-ᲛᲐᲠᲥᲡ-ᲨᲢᲐᲓᲢ, 12 დეკემბერი. ყინულზე ცეკვაში გდრ-ის ჩემპიონებმა ა. ბაიერმა და ე. რიუგერმა გაიმარჯვეს აქ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში. მოსკოველი სტუდენტები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი II ადგილზე გავიდნენ. მათ უკან ჩამოიტოვეს ორი ბრიტანული წყვილი, რაც დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 დეკემბერი. ინგლისელმა დონალდ კემპბელმა ინგლისის ჩრდილოეთში მდებარე კონისტონის ტბაზე თავისი „ცისფერი ჩიტით“ — რეაქტიულძრავიანი ნავით საათში 328 კმ სიჩქარე განავითარა. მართალია, ეს შედეგი უფრო „ნელია“ კემპბელის მიერ შარშანწინ ავსტრალიაში დამყარებულ მსოფლიო მიღწევაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ინგლისელი უკვე ამ დღეებში ისევ შეუტევს თავის რეკორდს.

ᲙᲘᲠᲙᲣᲙᲘ, 12 დეკემბერი. ერაყში სტუმრად მყოფმა ერევნის „არარატის“ ფეხბურთელებმა აქ მეორე მატჩი გამართეს. ისინი შეხვდნენ ქალაქის ნაკრებს და გაიმარჯვეს — 8:0.

გდრ-ის დედაქალაქში, განსაკუთრებით, მის გარეუბნებში, მრავალი ღირსშესანიშნაობაა. აქ ათასობით მოგზაური ჩამოდის. უცხოელი ტურისტები დიდი ინტერესით ეცნობიან გერმანელ მუშათა და გლეხთა ისტორიაში პირველი რესპუბლიკის ცხოვრებას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: საერთაშორისო ტურისტული ბაზა ბერლინის მახლობლად, გრიუნაუში.

ფოტო ვ. კუზმინისა.

ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ—Მ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მსროლელებმა ტოკიოს XVIII ოლიმპიადაში დიდი მარცხი იწვნიეს. იმ უსიამოვნო დღეებიდან განვლილ ორ წელიწადში ჩვენში ტყვიის მსროლელთა ბევრი სხვადასხვა ტურნირი ჩატარდა, მაგრამ ყინული მხოლოდ წლევანდელი სეზონის ბოლოს დაიძრა.

მაინც რა მოხდა სეზონის დამლევს? პირველ ყოვლისა, კიევში გაიმართა სსრ კავშირის გუნდური პირველობა.

მე არ შევეხები კიევის ბრძოლის ყველა პერიპეტიას. ვიტაუბროთ მხოლოდ მთავარზე — ოლიმპიური პროგრამის ვარჯიშებზე. წავიდნენ თუ არა წინ ჩვენი ოსტატები? ხომ არ დაუკარგავთ საკუთარი ძალების რწმენა?

მსროლელებს ახსოვთ: 1958 წლიდან, როცა დამყარდა აბსოლუტური რეკორდი მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში (600-დან 600 ქულა), სროლის საერთაშორისო კავშირმა საგრძნობლად შეამცირა ამ ვარჯიშისთვის განკუთვნილი სამიზნე. ახლა მისი შავი ცენტრი ორკაპიანისოდენაა. მას შემდეგ ჩვენს სნაიპერებს უდიდეს საერთაშორისო ტურნირებში, მათ შორის, ტოკიოს ოლიმპიადაშიც ოქროს მედლები აღარ მოუპოვებიათ. და აი, საბჭოთა მსროლელები ისევ მიუახლოვდნენ მსოფლიოს აბსოლუტურ რეკორდს. კიევში ბელორუსმა ვ. პარხომოვიჩმა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში 600 შესაძლებლიდან 599 ქულა მოაგროვა, რაც ტოკიოს ოლიმპიადის რეკორდზე უკეთესი შედეგია.

ან ავიღოთ მეორე ოლიმპიური ვარჯიში — უდრეკი მცირეკალიბრიანი სტანდარტი — 40-40 გასროლა წოლელა, ჩოქელა და დგომელა, ანუ „სასროლო მარათონი“, როგორც მას სპორტსმენები უწოდებენ. ტოკიოში ვერც ერთმა ჩვენმა მსროლელმა ვერ შეძლო თუნდაც 1.150 ქულის მოგროვება ამ ვარჯიშში. სსრ კავშირის პირველობაში კი ახალგაზრდა დინამოელი, სპორტის ოსტატი ა. სავინკოვი მხოლოდ XI იყო ქულათა ამ ჯამით. მაღალი ოსტატობით ბრწყინავდა ლენინგრადელი ა. გერასიმოვნოკი: მან 1.200 შესაძლებლიდან 1.164 ქულა მოაგროვა და ამით ტოკიოს ოლიმპიადის რეკორდი გაიმეორა.

ალექსანდრე გერასიმოვნოკი გამოირჩეოდა შეჯიბრების მეორე, არანაკლებ რთულ სახეობაში — საბრძოლო შაშხანით 300 მეტრზე სროლაშიც. ამ ვარჯიშში მან სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 1.158 ქულა.

მაგრამ, თუ შაშხანით მსროლელები მიღწევებით გვახარებენ, პისტოლეტით მსროლელებს ჯერჯერობით სასიქადულო არაფერი აქვთ, თუმცა წლეულს ერთგვარი წინსვლა აქაც იგრძნობა. მოსკოვში სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ეკვენი რასკაზოვმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან მრგვალ სამიზნეებზე სროლაში ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 571. მან 1 ქულით გააუმჯობესა რეკო-



გრენობლი გულდაგულ ემზადება 1968 წლის „თეთრი ოლიმპიადისთვის“. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘ:** 70-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობის ხედი.
ფოტო „თეთრი ოლიმპიადის“ საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური ბიულეტენის მე-5 ნომრიდან.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠ

განუწყვეტლივ მტკიცდება მეგობრობა წითელმაისურიანი სპორტსმენებისა, მკერდზე „სსრ კავშირი“ რომ აწერიათ და მათი ფრანგი კოლეგებისა, რომელთაც ფორმის ფერის გამო ყველა „ტრიკოლორს“ — სამ ფეროვანთ ეძახის. ეს ერთ-ერთი გამოხატულებაა საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობისა.

აას-ის კორესპონდენტმა ჩვენი ქვეყნის სპორტ. კავშირის ცენტრალური საბჭოს მუშაკებს სთხოვა ეამბნათ საბჭოთა და ფრანგი სპორტსმენების ურთიერთკონტაქტზე. მას ესაუბრა უცხოეთთან სპორტული ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე დ. პრობოროვი.

— საკმარისია გადავხედოთ საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო შეჯვედრების პროგრამას 1967 წლისთვის და დავრწმუნდებით, რომ საფრანგეთი ამ პროგრამაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ეს გასაგებიცაა. ორი ქვეყნის სპორტსმენთა შორის დიდი ხანია მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. სათქმელი და გასაზიარებელი ბევრი აქვთ.

საბჭოთა ველოსიპედისტები, მაგალ-

ᲤᲮᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲜᲝᲑᲐ



ᲡᲐᲣᲕᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ „ᲠᲕᲐᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲜᲘ“

ᲓᲐᲛᲮᲝᲒᲐᲡ ᲫᲚᲘᲕᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ“

ᲩᲕᲔᲜᲘ მძლეოსნური სეზონის შედეგები თითქოს არავითარ საფუძველს არ იძლეოდა ოპტიმიზმისთვის. ევროპის სარბიელზე საბჭოთა მძლეოსნებმა პოზიციები დამთმეს. საკავშირო რეკორდების მოუსავლიანობა იყო. ჩვენს სპორტსმენებს არც ერთი მსოფლიო მიღწევით არ გავუხარებივართ და მაინც, სპეციალისტები შეცბნენ, როცა სეზონი მაჟორული აკორდით დამთავრდა.

აკორდი დაირხა ლენინაკანში, 1.600 მეტრ სიმაღლეზე. ეს კი სულ რაღაც ნახევარი კილომეტრით ნაკლებია 1968 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის — მეხიკოს დონეზე. თითქოს რაღაც ბორკლებისგან გათავისუფლდნენო, მეორე შემლონის წარმომადგენლებმა — ახალგაზრდა მძლეოსნებმა, ჩინებული შედეგები ნოიპოვეს ოლიმპიური გუნდების მატჩში, შეჯიბრებაში, რომელსაც არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა. ახალგაზრდებმა ბიტუმის ბილიკზე აიღეს სტარტი და მათმა ასპარეზობამ სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ლენინაკანი მასპინძლობდა მათ, ვინც მეხიკოს სტადიონზე საასპარეზოდ ემზადება.

ერთ-ერთ ასეთ ახალბედა სპორტსმენზე ღირს დაწვრილებით ლაპარაკი. დიდი ხანია სიგრძეზე ხტომის სექტორს იგორ ტერ-ოვანესიანი ბატონობს. ბევრჯერ სცადეს მიახლოვებოდნენ მას, გადაეღოთ მისი ხტომის ტექნიკა, მაგრამ უნაყოფოდ: მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი შეუდრეკელი ავტორიტეტით სარგებლობდა, ძალზე თავისებური იყო მისი ტალანტი.

და აი, როგორც იქნა, შეიძლება თამამად ითქვას, გამოჩნდა ტერ-ოვანესიანის დირსეული მემკვიდრე — 20 წლის ტალინელი არმენელი ტინუ ლეპიკი. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ ლეპიკი ფიქრობდა, რომ მისი მოწოდება სიმაღლეზე ხტომაა. საამისოდ ჰქონდა კიდეც საფუძველი: გამარჯვება ესტონეთის ჭაბუკთა ჩემპიონატში — 197 სმ. შემდეგ ტინუმ გადაწყვიტა ათჭიდელი გამხდარიყო. საამისოდ ფიზიკური მონაცემებიც უწყობდა ხელს (სიმაღლე — 192 სმ, წონა — 84 კგ). პირველმა გამოსვლამ, სრულიად მოულოდნელად, ლეპიკს ოსტატის შედეგი მოუტანა — 6.993 ქულა. მაგრამ მალე იგი იძულებული გახდა სიმაღლეზე ხტომასა და ათჭიდს გამოთხოვებოდა. ტინუ თავდაუზოგავად ვარჯიშობდა და როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, სწორედ ამის შედეგად დაიზიანა მუხლი, რაც თითქმის ყველა სიმაღლეზე მხტომელის „სენია“. აი, მაშინ დაიწყო ლეპიკმა სიგრძეზე ხტომა.

ახალი არჩევანი ძალიან რთული გამოდგა. სპორტსმენი მძიმე ნაბიჯით მიიწევდა მწვერვალისკენ. ტოკიოს ოლიმპიადის წელს ლეპიკი 742 სანტიმეტრზე გადახტა და „მრომითი რეზერვების“ ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ მცირე წინსვლა, ხოლო წლეულს, ზნაშენსკების მემორიალში, ესტონელმა 757 სმ გადალახა და მესამე პრიზიორი გახდა. მალე ლეპიკმა პირად რეკორდს კიდევ 15 სმ წაუმატა ფინელ მძლეოსნებთან ამხანაგურ შეხვედრაში. დნეპროპეტროვსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში კი არ გაუმართლა, — ძალზე უთანაბროდ გამოდიოდა. და აი, ნაკრებში მოხვედრის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი, ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ ბუდაპეშტს ვერ გაემგზავრა.

ლენინაკანში ლეპიკმა პირველსავე ცდაზე აჩვენა მაღალი შედეგი: იგი კინაღამ გადაევლო მიჯნას, რომელიც საკავშირო რეკორდის ალმით იყო აღნიშნული. მაგრამ არეკნის ხაზს ფეხი დაადგა. ესტონელი კიდევ ორჯერ მიუახლოვდა რვამეტრიან ზღვარს. ერთ-ერთი ცდისას მან ხელი დაიშავა, მაგრამ შეძლო 803 სანტიმეტრზე გადამხტარიყო. 20 წლის ტალინელი ათლეტი მეხუთე „რვამეტროსანია“ საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში.

ვნახოთ, რა პოტენციური შესაძლებლობები აქვს ლეპიკს, მაღალი კლასის სპორტსმენი რომ გახდეს. ესტონელი ნძლეოსანი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაუფლებია ხტომის ტექნიკას. ერთი ცდა მეორეს არ ჰგავს და ხან „მაკრატელას“ მოგაგონებთ, ხანაც „ღუნვითი“ ხტომის ელემენტარულ ილეთს. ლეპიკს ძალიან არასტაბილური გარბენი აქვს. მაგალითად, შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში მან ხუთჯერ დაბიჯა არეკნის ხაზს. მისი პირადი რეკორდი 100 მეტრზე რბენაში მხოლოდ 11,2 წამია. მარაგი, როგორც ხედავთ, არის.

უღრო მნიშვნელოვანია ათჭიდელთა მიღწევები. საქმე მარტო ის კი არაა, რომ დამხობას ძლივს გადაურჩა იური კუტენკოს ევროპული რეკორდი, რომელიც თბილისელი იური დიაჩკოვი უტევდა (7.836 ქულა ახალი ცხრილით). ამ ახალგაზრდა, პერსპექტიულ ათლეტს არც თუ სახარბიელო რეპუტაცია ჰქონდა, რაც საპასუხისმგებლო ტურნირებში მისმა გაუბედავმა გამოსვლამ წარმოქმნა. მაგრამ დიაჩკოვმა თანდათან დაიწყო თავი ზედმეტ ფლეგმატურობას და უკვე შეუძლია ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა. ლენინაკანში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ათჭიდში და დიაჩკოვს ჰყავდა ძალიან სერიოზული, რაც მთავარია, ახალგაზრდა მეტოქეები.

სსრ კავშირის ჩემპიონატებში ათჭიდელთა ასპარეზობა ასეთ მაღალ დონეზე ჯერ არასოდეს ჩატარებულა. 15 სპორტსმენი გასცდა 7.000-ქულიან ზღვარს. 6.000 ქულაზე მეტი დააგროვა ხუთლამ, ვინც კი დაუბრკოლებლივ გადალახა მრავალჭიდის 10 წინაღობა. 100 მეტრზე რბენაში 11,1 წამი, სიგრძეზე ხტომაში — 720 სმ, სიმაღლეზე ხტომაში — 190 სმ, ჭოკით ხტომაში — 4 მეტრზე მეტი, თარჯრბენში — 15,0 წამი ჩვეულებრივ შედეგად ითვლებოდა.

მძლეოსნობის მოყვარულთ არც თუ ბევრს ეუნება კრასნოდარელი ვ. მიხალჩენკოს, ოდესელი ა. ჩაადაევის, ი. რუსანოვის (მოსკოვის ოლქი), პერმელი ვ. სოროკინის, რიგელი ი. ლანკის სასეელები, მაგრამ ამ ჭაბუკებმა ისეთი შედეგები აჩვენეს, ევროპის ჩემპიონატში მაღალ შეფასებას დაიმსახურებდნენ.

ყველაზე მოულოდნელი ვ. მიხალჩენკოს გამოსვლა იყო. იგი პროგრამის შვიდ სასვრობაში უსწრებდა კუტენკოს გრაფიკს ევროპის რეკორდის დამყარებისას. 100 მ — 10,9, სიგრძეზე ხტომა — 733, 400 მ — 50,5, ბაღროს ტყორცნა — 45,46, საბოლოოდ, 7.525 ქულა,— აი, შედეგები, რამაც მიხალჩენკოს ბრინჯაოს პირველი მედალი მოუტანა.

სეზონის ენდშპილმა არც თუ ცოტა სასიამოვნო ნაცნობობა მოგვიტანა. მე მოვიყვანე ორი მაგალითი. თუ მათ დავუმატებთ ბრესტელი პირველთანრიგოსნის, 18 წლის პ. რუბაშევსკაიას მოულოდნელ გამარჯვებას 400 მეტრზე რბენის ისეთ ოსტატებთან, როგორიც არიან გ. მარონჩკინა და ნ. სეროპეგინა, თუ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა სიმაღლეზე მხტომელმა, იაროსლაველმა ა. ოკოროკოვამ თავისი პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა საკავშირო სარბიელზე, ხოლო ვაუებში დაწინაურდნენ ახალი „კოსმონავტები“ — ხ. მარტინოვი, ლ. ტივიკოვი, ი. ტარმაკი. თუ ყოველივე ამასთან გავიხსენებთ ნაკლებად ცნობილი სპორტსმენის ვ. კურკევიჩის გვიან, მაგრამ მრავლისმეტყველ წარმატებას სამხტომში (16,56 მ), ნათელი გახდება: ოპტიმიზმის საფუძველი მაინც არის.

Ი. ᲝᲒᲠᲐᲨᲪᲝᲕᲘ.

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ!

...ი, რომელიც თბილისელმა ოსტატმა ...ანგ სალუქვაძემ შეიარაღებულ ძალთა საკავშირო ასპარეზობაში დაამყარა რამდენიმე დღით ადრე.

...საბჭოთა სპორტსმენების წინსვლა ...ველულ იმედს იძლევა. მაგრამ არ ...ეძლება არ მოვიგონოთ მსოფლიოს ...ლეანდელი, 39-ე ჩემპიონატი. ამ ...ჯიბრებამ სსრ კავშირის ათლეტებს ...ერო მეტი მედალი მოუტანა, ვიდრე ...ათ მთავარ მეტოქეებს — ამერიკელებს, მაგრამ ამერიკელთა პირადი შედეგები უფრო მაღალი იყო და ოქროს მედლების უმეტესობაც მათ ხვდათ წილად.

ამჟამად სსრ კავშირის ტყვიის ...როლელების მთავარ სამიზნეზე მეხიკოა. უძლიერესთა ამ ფორუმისთვის ...ადება უკვე დაიწყო. სსრ კავშირის ...სროლო სპორტის ფედერაციამ გადაწყვიტა ოლიმპიური გუნდი ახლებურად დააკომპლექტოს. ოლიმპიური გუნდების შეიქმნა ჩვენი ქვეყნის სამ დიდ სპორტულ კოლექტივში — საბჭოთა არმიაში, „დინამოსა“ და დოსაააფში.

ამას წინათ გაიმართა ამ გუნდების პირველი მატჩი ოლიმპიური პროგრამით. პირადი შედეგები საკმაოდ საოცარია. მაგალითად, ახალგაზრდა ლევოველმა სპორტსმენმა ლ. ჟდანოვმა (დოსაააფი) მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში 596 ქულა მოაგროვა (600-დან). ეს შედეგი მხოლოდ 1 ქულით ნაკლებია ოლიმპიურ რეკორდზე, რომელიც უნგრელმა ლ. ჰამერლიმ დაამყარა ტოკიოში. არმიელმა ნ. ბაკალოვმა (მინსკი) მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ხუთ სილუეტზე სროლაში (596 ქულა 600-დან) ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა. სტანდარტში საერთაშორისო კლასის დონეზე იროლეს სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ლუსტბერგმა (ცსკა) და ო. ლაპკინმა (დოსაააფი).

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრები მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში უძლიერესის სახელს დაიბრუნებს.

Ა. ᲘᲚᲘᲜᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲛᲘ

◆ ᲙᲝᲜᲐᲙᲠᲘ, 13 დეკემბერი. უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები მალიდან გვინეაში გაემგზავრნენ და ორი მატჩი გამართეს ქვეყნის ნაკრებთან: პირველი დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო მეორეში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0 (ორივე ბურთის ავტორია კიევის ასკ-ს სპორტსმენი ვ. სუკოვიცინი). უკრაინის ნაკრები ორ მატჩს გამართავს სენეგალშიც.

◆ ᲛᲔᲮᲘᲙᲝ, 13 დეკემბერი. მექსიკის გარშემო საერთაშორისო ველოსიპედოლა მოიგო ერთ-ერთმა მასპინძელმა ს. სერვანტესმა. 19 ეტაპის დაფარვას მან მოანდომა 70:52.49. გამარჯვებულს 2 წამით ჩამორჩა მისი თანამემამულე მ. სოტო. III ადგილზე გავდა ჰ. ბაკლი (დიდი ბრიტანეთი) — 70:53.59. გუნდური პირველობა უნგრელ ველოსიპედისტებს დარჩათ. ველორბოლაში მონაწილეობდნენ, ავრეთვე, პოლონეთის, კანადის, გვატემალის, პერუს, შვეიცარიისა და აშშ-ის სპორტსმენები.

◆ ᲙᲐᲕᲐᲜᲐ, 13 დეკემბერი. კუბის რევოლუციის VIII წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტულ ფესტივალში მასპინძელმა მძლეოსანმა ქალუბმა მსოფლიო კლასის შედეგით მოიგეს ესტაფეტა 4×100 მ. მ. გარბიმ, ჩ. ერეკვარიამ, ფ. რომეიმ და მ. კობიანმა აჩვენეს 45,4 წამი, რაც ახალი ეროვნული რეკორდია. II ადგილი დაიკავა ინტერნაციონალურმა გუნდმა ე. ნეილის, ლ. ბარდის (ორივე — ინგლისი), ა. ხემელკოვას (ჩეხოსლოვაკია) და ტ. ტალინეველს (სსრ კავშირი) შემადგენლობით — 47,8.

◆ ᲡᲘᲓᲜᲔᲘ, 13 დეკემბერი. პლიმუტიდან (სამხრეთ ინგლისი) ავსტრალიის ამ ქალაქამდე (22000 კმ) 107 დღეში მშვიდობიანად გაცურა თავისი იახტა „ჯიპსი მოსით“ 65 წლის ინგლისელმა ფ. ჩიჩესტერმა. ადგილობრივ იახტკლუბში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან აღიარა, რომ ამ უმაგალითო გაცურვაში საშინელი იყო აბობოქრებული ოკეანის ხილვა. „მაგრამ არის დიდი მიმზიდველობა იმაში, ადამიანთა შორის პირველმა რომ მოახდინო რაღაც“, — თქვა ჩიჩესტერმა.

◆ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 13 დეკემბერი. მეგობრული ქვეყნების დინამოელ ფრენბურთელთა სპარტაკიადამი გაიმართა მორიგი შეხვედრები. მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში მოუგო ბუქარესტელ თანაკლუბელებს — 3:2 (15:9, 15:9, 14:16, 12:15, 15:13).

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲛᲪᲙᲘᲪᲚᲔᲑᲐ

...ად, ღირსეულად აფასებენ თავიანთი ...ელეგების ოსტატობას. ფრანგები, თავის მხრივ, ასევე დიდად აფასებენ საბჭოთა მძლეოსნებს, კალათბურთელებს, ...ალოსნებს, ტანმოვარჯიშეებს. 1967 ...ლისთვის განზრახულია 18-20 სახეობის წარმომადგენელთა — ტანმოვარჯიშეთა, მძლეოსანთა, ფეხბურთელთა, ...ოთხილამურეთა, მოციგურეთა, მოკრიკეთა, ხელბურთელთა, ჩოგბურთელთა, ...ნიბოსანთა, წყალში მხტომელთა, ფიგურული სრიალის ოსტატთა და სხვათა შეხვედრები. ახლა ძნელია მომავალ ...ასპარეზობათა თარიღისა და ადგილის ...ასახელება (ამას მოლაპარაკების შემდეგ დავადგენთ), მაგრამ წინასწარი ეგმებიც კი ნათელყოფს, როგორ ღირიდეს მტკიცდება საბჭოთა და ფრანგი სპორტსმენების მეგობრობა.

მოვიტან რამდენიმე მაგალითს. ჩვენი მორბენლები წლიდან წლამდე მონაწილეობენ გაზეთ „იუმანიტეს“ ტრადიციულ საერთაშორისო კროსში, რომელიც მარტში იმართება ხოლმე. ახლანზრახულია მოეწყოს მძლეოსანთა ...ხვა შეხვედრებიც. კერძოდ, სექტემბერში გაიმართება მატჩი პარიზის ნაკრებთან.

საფრანგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ეგრეთწოდებული ღია ჩემპიონატები უცხოელ სპორტსმენთა მონაწილეობით. ვფიქრობთ, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ ჩოგბურთელთა ტურნირში, საგზატკეცილო ველორბოლაში „პეკოს პრიზზე“, ...ეკადემიურ ნიბოსანთა რბოლაში „ხეის პრიზზე“. სხვათა შორის, ეს შეჯიბრება უთუოდ სასარგებლო იქნება ...ენებისთვის: გაისად ევროპის ჩემპიონატს ხომ სწორედ ფრანგები უმასპინძლებენ. ჩვენს მხრივ განზრახული გვაქვს მოვიწვიოთ ფრანგ მოკრიკეთა ასალგაზრდული გუნდი, ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა კოლექტივები. ფრანგ მაგიდის ჩოგბურთელებს შეხვდება რსფსრ-ს ნაკრები, მოსკოვში ჩამოვლენ პარიზელი ძალოსნები, უკრაინაში კი — ფრანგი კალათბურთელები...

სპორტული თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ერობლივი წვრთნა და ამხანაგური შეხვედრები დიდი საერთაშორისო ტურნირების, ან ჩემპიონატების წინ. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ მოფარიკაკეთა მომავალი სტუმრობაც ევროპის თასის გათამაშებასთან დაკავშირებით, ხელბურთელთა და წყალში მხტომელთა შეხვედრები. უკვე ტრადიციად იქცა საბჭოთა და ფრანგ მთამსვლელთა ერთობლივი ვარჯიშიც რთული ექსპედიციების წინ.

საფრანგეთის ქალაქი გრენობლი 1968 წლის „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქია. ამ ზამთარს იქ შედგება საერთაშორისო შეჯიბრებები, რომელთა მიზანიც უკვე მზა ტრასების და ყინულის მოედნების შემოწმებაა. ამ „წინასაოლიმპიადო კვირეულში“ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სპორტსმენები, მწვრთნელები და სპეციალისტებიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრენობლში რადიოინფორმაცია და სატელევიზიო კომენტარები პირველად წარიმართება რუსულადაც. ოთხ ენაზე, მათ შორის, რუსულადაც, გამოქვეყნდება საინფორმაციო ბიულეტენები და ცნობები.

ბავშვთა ფეხბურთის პრობლემები

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გალპერინის წერილი „მღელვარება და ფიქრები“, რომელიც 5 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა.

რედაქციამ თხოვნით მიმართა ნორჩ ფეხბურთელებთან მომუშავე მწვრთნელებს, სპეციალისტებს, მსაჯებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამჟამად რედაქციის ხელთაა რამდენიმე ასეთი წერილი. გამოხმაურებას ა. გალპერინის წერილზე ვიწყებთ ბავშვთა შორის მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე მწვრთნელის ვ. გვარჯალაძის წერილით. იმედი გვაქვს, სხვა სპეციალისტებიც აქტიურად ჩაეჭიდებიან ამ საინტერესო დისკუსიაში.

ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ მრავალრიცხოვანია იმ მწვრთნელთა რაოდენობა, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ. მე ხაზს ვუსვამ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს იმიტომ, რომ ნორჩთა შორის საქმიანობას აქვს მთელი რიგი სპეციფიკური, დამახასიათებელი თვისებები და ამ დარგის მუშაკებს გარკვეული პედაგოგიური უნარი და გამოცდილება ესაჭიროებათ.

რესპუბლიკის სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებში მრავლად არიან მწვრთნელები, რომლებიც ყურადღებიანი, კულისსმიერი მიდგომით, თავიანთი შემოქმედებითი აქტივობით გარკვეულ წარმატებებს აღწევენ ჭაბუკ ფეხბურთელთა აღზრდაში. მაგრამ, ბუნებრივია, ყველა პედაგოგის, ყველა მწვრთნელის მუშაობა ტოლფასოვანი არ გახლავთ. არიან მოწინავენი, არიან ჩამორჩენილნიც და რომ ეს უკანასკნელნი დავაწინაუროთ, მოვახდინოთ მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება, საჭიროა სისტემატურად ხდებოდეს გამოცდილი, კარგი მაჩვენებლების მქონე მწვრთნელთა გამოცდილების, მათი პედაგოგიური დაკვირვებების გაზიარება ამ დარგის სხვა მუშაკთათვის. ასეთი რამ კი არ ხდება. საუკეთესო მწვრთნელთა მეთოდური ხასიათის წერილებს იშვიათად ნახავთ პრესის ფურცლებზე, არ ეწყობა სხვადასხვა სახის კონფერენციები. ეს კი დიდ სარგებლობას მოუტანდა მათ, ვიისაც სურს კარგად დააყენოს ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდის საქმე და თავადაც აიმაღლოს კვალიფიკაცია.

ფიზიკური აღზრდის წინაშე დასმულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები. ნორჩ ორგანიზმში უნდა გამოვიმუშავოთ და განვამტკიცოთ ისეთი თვისებები, როგორც სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, ძალა, მხტომელობა, კოორდინაციის უნარი და ა. შ. ამას გარდა, ფიზიკური აღზრდა ხელს უწყობს ფსიქიკურ მოვლენათა განვითარებას, დროსა და სივრცეში სწორ და სწრაფ ორიენტირებას, ტაქტიკურ აზროვნებას, საკუთარ ძალებში რწმენის, ნებისყოფის გამომუშავებას და სხვ. ყოველივე ეს აუცილებელი პირობებია მაღალი კლასის ფეხბურთელის აღსაზრდელად.

საქართველოს შესანიშნავი კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევს თითქმის მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად ვიმუშაოთ ღია ცის ქვეშ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს გამოვრიცხოთ დარბაზში მეცადინეობა. მთელი რიგი პირველხარისხოვანი ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია სპორტული დარბაზისა და სპეციალური ინვენტარის გარეშე. დარბაზი და მისი შესაბამისი ინვენტარი კი დღეს ჩვენს სინამდვილეში განუხორციელებელ პრობლემად რჩება. მოსწავლე ახალგაზრდებში სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის მრავალი წლის ანალიზმა ცხადყო, რომ ჭაბუკთა სპორტი განვითარებას საგრძნობლად აფერხებს სპორტული მეცადინეობის მეთოდიკის არასრულყოფილი დამუშავება. ჭაბუკ ფეხბურთელებთან მომუშავეებმა გარკვეულად არ იციან როგორ დაგეგმონ მეცადინეობა, დატვირთვის რა ნორმები შეიმუშაონ და ამიტომაა, რომ ბევრი მათგანი მიმართავს იმავე მეთოდებს, რასაც მოზრდილთა შორის იყენებენ. რა თქმა უნდა, მოზრდილებთან და ბავშვებთან მუშაობას ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, აქ საჭიროა დიფერენციული მიდგომა, ვინაიდან მოზარდის ზრდადაუმთავრებელ ორგანიზმს შეიძლება მივაყენოთ ზიანი, რომლის გამოსწორება შემდეგ ძალიან ძნელი ხდება.

ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს ჭირდებათ შესაფერისი ლიტერატურა, მეთოდური მითითებანი და პროგრამა, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს საერთო მუშაობის ღელვზე მნიშვნელოვან ნხარეებს.

ბავშვებთან მუშაობა უკვე 1946 წლიდან მიწევს და ამ ხნის განმავლობაში მტკივნეულ საკითხად მუდამ იყო და რჩება პროგრამის უქონლობა. ოდესღაც, იყო შემუშავებული პროგრამა თბილისის 35-ე საშუალო სკოლის აღსაზრდელთათვის, მაგრამ იგი მოძველდა. ამჟამად არსებული პროგრამები თითქმის ანალოგიურია იმ პირველი ვამოცემისა, რომლის შემდეგ საკმარისზე მეტი დრო გავიდა. ამაზე ვლაპარაკობთ ყველანი, ვლაპარაკობთ ყოველ შესაფერის თუ შეუფერებელ მომენტში, მაგრამ პროგრამა ქართულ ენაზე, რომელიც თავისი შინაარსითა თუ ფორმით შეეფერება სადღეისო მოთხოვნებს, ჯერ კიდევ არა გვაქვს. ამიტომაა, რომ მწვრთნელები ხშირ შემთხვევაში მიმართავენ უფროსებისთვის შედგენილ სახელმძღვანელოებს, იქ კი არაა მხედველობაში მიღებული ჭაბუკთა ასაკობრივი თავისებურებანი და მომზადების დონე.

ბავშვთა მზადების სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის თავისებურება ძირითადად გულისხმობს ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის პირველდაწყებით შესწავლას, ხოლო კვალიფიციურ ფეხბურთელს ეს უკვე ათვისებული აქვს. აქ მთავარ მიზანს წარმოადგენს სპორტულ-ტექნიკური დონის შენარჩუნება და სრულყოფა. ჭაბუკ ფეხბურთელთა მზადების შინაარსს, პირველ ყოვლისა, უნდა შეადგენდეს საერთო ფიზიკური მომზადება და ამის საფუძველზე ფიზიკური მონაცემების თანმიმდევრული განვითარება. ეს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოზარდი ფეხბურთელისთვის.

ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დაკვირვებამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს საერთო მასალის განაწილება სასწავლო წლების მიხედვით, სასწავლო ამოცანათა დასმა, კვირეული ციკლის რეჟიმისა და პერიოდიზაციის დაზუსტება. სასწავლო მასალის განაწილებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპებით: სწავლების პირველ და მეორე წლებში საჭიროა მეტად გამოვიყენოთ ის საშუალებანი, რომლებიც განავითარებენ კოორდინაციას, მოქნილობას, მოძრაობით უნარს, სასწრაფეს, მხტომელობას და ყურადღებას. მესამე სასწავლო წელს ყურადღების გამახვილება ხდება ძალის გაზომუშავებაზე, მეოთხე და მეხუთე წლებში აქცენტი კეთდება სისწრაფითი გამძლეობის გამომუშავებაზე და ყველა ფიზიკური თვისების სრულყოფაზე, რომლებიც ბავშვებმა ... ასაზრდელად.

ნორჩი ფეხბურთელი თავდაპირველად ეუფლება თამაშის ძირითად ტექნიკურ ილეთებს და მათი შესრულების ხერხებს, ხოლო მომდევნო სასწავლო წლებში ამ ილეთების სრულყოფა და დახვეწა ხორციელდება. ფეხბურთის ტაქტიკის შესწავლა უნდა ხორციელდებოდეს მოთამაშის ფიზიკური მზადების ზრდასთან და ტექნიკური ილეთების ათვისების სრულყოფასთან შეფარდებით.

ბოლო წლებში ფეხი მოიკიდა პრაქტიკამ, როცა ნიჭიერ ბავშვებს ნაადრევად აწინაურებენ მაღალი კვალიფიკაციის გუნდებში. ამას კი მოჰყვა ის, რომ მწვრთნელებს ნაადრევი სპეციალიზაცია შეაჩერეთ მოზარდთა სწავლების მეთოდიკაში. ნაადრევი სპეციალიზაციის არსის უსწორო გაგების შედეგად სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშების მეთოდიკაში, ვიწროვდება ის ამოცანები და მიზანდასახულობა, რომლებსაც ჯულისხმობს საერთო ფიზიკური აღზრდა და სპორტი. ამის გამო, რომ ზოგიერთი მწვრთნელის თვითმიზნად იქცა მაღალი სპორტული მაჩვენებლების ნადრევი მოპოვება. ყოველგვარ სპეციალურ მზადებას და დასწავლოვნებას თავისი მოსამზადებელი პერიოდი უნდა უძღოდეს წინ. ნაჩქარეობამ და ნაადრევმა სპეციალიზაციამ შესაძლოა საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედოს ნორჩ სპორტსმენზე.

ნორჩი ფეხბურთელები ჩვენს სპეციალიზებულ სკოლებში მეცადინეობას იწყებენ 11-12 წლის ასაკში და სწავლობენ ვადიან 17-18 წლამდე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჭაბუკი თავის სპორტულ შესაძლებლობათა პოტენციალს აღწევს 19-20 წლის ასაკში, ე. ი. დავაჟკაცების პერიოდში. ამიტომ ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად დარჩა ის 2-3 წელიწადი, როცა ჭაბუკი ფეხბურთელები ფაქტიურად უფეხბურთოდ რჩებიან. უმაღლეს სასწავლებლებში ფეხბურთი ჩავარდნილია, სპეციალიზებულ სპორტსკოლებში კი არ არსებობს სპეციალური ჯგუფები ე. წ. „გადაზრდილთათვის“.

მოსწავლეთა და ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდა სპორტულ შეჯიბრებათა გარეშე წარმოუდგენელია. შეჯიბრება წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს, მას ძალზე დიდი ემოციური გავლენა აქვს მოზარდზე. აქ ყალიბდება მისი ტაქტიკური აზროვნება, ფართოვდება შემოქმედებითი ფანტაზია, ხდება გამბედაობის გამომუშავება და ა. შ. ჩვენს სინამდვილეში კი მოზარდთა შეჯიბრებები ძალიან დაბალ დონეზე მიმდინარეობს, თამაშებს სჯიან არაკვალიფიციური მსაჯები. შეჯიბრებებს უნდა მიეცეს ის საზეიმო ხასიათი, რაც მოსწავლეზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს, მობილიზების გრძნობას იწვევს მასში.

ვ. გვარჯალაძე,

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საფეხბურთო სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

თბილისში დამთავრდა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება 1949 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის.

ტურნირში კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს ნორჩმა დინამოელებმა (მწვრთნელი ო. უშვერიძე), რომლებმაც ყველა შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. II ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს (მწვრთნელი ვ. ელოშვილი). III ადგილზე გავიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი (მწვრთნელი ს. სიხარულიძე), რომლის წევრები 1950-51 წლებში არიან დაბადებული.

სურათზე: ნორჩი დინამოელისა და „ლოკომოტივის“ შეხვედრის მომენტი. ბურთი აქვს დინამოელ ბ. ქარქაშაძეს.

ფოტო ი. იუნაევისა.

საკვირაო ინტერვიუ

თელავი

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა რაიონული გათამაშება ფეხბურთში მოსწავლეთა გუნდებს შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თელავის რუსული საშუალო სკოლისა და სოფ. წინანდლის საშუალო სკოლის გუნდები. გაიმარჯვეს თელაველებმა — 1:0.

ნ. ცერცვაძე.

სილნაღი

რაიონის სკოლების შეჯიბრება ფეხბურთში მიმდინარეობდა საშუალო სკოლებისა და რვაწლიანი სკოლებისთვის ცალ-ცალკე. საშუალო სკოლების გუნდებში გაიმარჯვეს ვაქარელებმა. რვაწლიანი სკოლების კოლექტივებს შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ სოფ. ხარსის ნორჩი ფეხბურთელები.

ა. ხვალაძე.

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძემ.

● „ტიბაანი: დეკემბრის 27, აქ იყო ხირსის მონასტრის ტაძრობა: წმინდა სტეფანობა. დიდძალი ხალხი მოვიდა სხვადასხვა სოფლებიდამ... სხვა მრავალ წმინდა ქართულ ლხინ-ვარჯიშობასთან ქიზიყელებმა გამართეს გმირული ჯირითობა (დოღი) მოლიპულ თოვლზე, რომელზედაც ისეც სამშია ცხენის გატარება; გულადობით განთქმულნი ქიზიყელნი-კი მერცხლებივით მიაფრენ-მოაფრენდნენ სანაქებო ცხენებს, თითქოს იმით დიდძალ მაყურებლებს ამას ეუბნებოდნენ: „მამაპაპისებური ვაჟკაცობა არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო“.

(„ივერია“, 1894 წ. № 5).

● „აქ იმყოფება უშესანიშნავესი ცხენოსანი აზნაური. გუშინ იგი როტონდაში ცხენით ჯირითობდა... მან დასწერა თავისი ვინაობა თავის ქვეყნის ენაზე და აღმოჩნდა გვარად მ. ტ. კოტკოშვილი. კოტკოშვილი წარმოსადეგი კაცია, საუცხოო ახოვანებისა. შავი თვალები აქვს და კლასიკური, ვაჟკაცური შეხედულება. მან განაცხადა ჭ. ტფილისში ვცხოვრობო. კოტკოშვილმა დასძინა, რომ ათის წლიდგან ვისწავლე ცხენზედ ჯდომა, ჩემის აზრით, საუკეთესო ჯიშის ცხენი ჩვენებური ცხენია, ჯაფისა და შრომის ამტანი, ლამაზი. ჩვენში ყმაწვილი ათის წლიდანვე ცხენზედ იზრდება და ეჩვევა ცხენოსნობასო.

კოტკოშვილმა როტონდაში ჯირითობის დროს დამბაჩა დასცალა, ხმალი ამოიღო და ისეთის ხელოვნებით ატრიალებდა, რომ ეტყობოდა, დიდი ვაჟკაცი უნდა იყოსო. მ. ტ. კოტკოშვილი ჯერ სან-ფრანცისკოში მისვლამდე, ჩიკაგოში ყოფილა და აქ ბუფალოს ბალის ცირკში მყოფ ყაზახთა დასისათვის ცხენზედ ვარჯიშობის მასწავლებლად ყოფილა მიწვეული. იქაც დიდი ყურადღება დაიმსახურა თურმე საზოგადოებაში.

(„ივერია“, 1894 წ. № 30. კორესპონდენცია გადმობეჭდილია სან-ფრანცისკოს გაზეთიდან).

● „ბათუმი: დასავლეთ საქართველოში ძალიან უყვართ ბურთობა. ამაზედ უკეთესი გართობა და დროს ტარება სხვა არ უნდა ჩვენებურებს. ბათუმში პირველად ბურთობა გაიმართა 24 აპრილს. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. მობურთავენი ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი: ცალ მხარეს მეგრელნი და მეორეს გურულნი. მეგრელნი ერთი-ორად მეტი იყვნენ გურულებზედ, მაგრამ მაინც გული არ გაიტეხეს და დიდის ხალისით დაიწყეს თამაში. ბინდამდე გასტანა ამ თამაშმა და ბოლოს ვიღაც პირ-შავმა კაცმა გასტრა ბურთი გურულების საზღვარზედ.

ბათუმის ნავთ-სადგურში მუდამ რამდენიმე ეკიცხლის გემი დგას უცხოელებისა. რამდენიმე ინგლისელი გამოვიდა ნაპირად და, ბურთობა რომ დაინახეს, ისე შეეჭნათ იმათაც გული, რომ თვითონაც ჩაერევნენ: ისე თამაშობდნენ ისინი ბურთობას, რომ ჩვენებურები გვეონებოდათ. აღტაცებაში იყვნენ ასეთი დროს გატარებით“.

(„ივერია“, 1894 წ. № 89).

● „ქ. ფოთი: პირველ მაისს, ჩვეულებრივ ქ. ფოთში იმერეთ-გურია-სამეგრელოდან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ნაშუადღევის ოთხს საათზე გააგდეს ბურთი. მეგრელებმა დიდის აღტაცებით და „არიქა ბოშეფი“ არიქას ძახილით ბურთი დანიშნულ ადგილას მიიტანეს და გააგდეს „ლელო“. შემდეგ ამისა გამარჯვებულმა მეგრელებმა ისეთი საამო „კირიალეისონი“ იმღერეს, რომ ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ“.

(„ივერია“, 1894 წ. № 98).

თბილისის სპორტის სასახლე

17-18 დეკემბერი

კრივი



ამერიკაკავკასიის რესპუბლიკათა — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს უძლიერეს მოკრივეთა ნაკრები გუნდების ტურნირი.

დასაწყისი 19 ს.

რედაქტორი მ. ჟაკაგაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 12137